თიბისი ბანკი

უბედური შემთხვევის დაზღვევა 1 წლის ვადით

ელექტრონული ფასთა კოტირება



სს “თიბისი ბანკი” გიწვევთ ღია ელექტრონულ ფასთა კოტირებაში მონაწილეობისათვის და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები შესყიდვების ელექტრონული სისტემის – etenders.ge-ს საშუალებით.

I. მონაწილეობის წესები

საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით მიმართეთ:
ვახტანგ ქიტუაშვილი - 599 88 45 30 vkituashvili@tbcbank.ge

ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში მიმართეთ:
გიორგი ჯანდიერი - 558 406 030 GiJandieri@tbcbank.ge

დოკუმენტაციის ატვირთვა შესაძლებელია **04.12.2026 12:00 საათიდან 18:00 საათამდე.**

- ფასები წარმოდგენილი უნდა იყოს აშშ დოლარში, გადასახადების ჩათვლით;
- ყველა ტიპის მოწოდებული ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული სახით) ითვლება წინადადების შემადგენელ და განუყოფელ აუცილებელ ნაწილად.
- **საუკეთესო პრეტენდენტების შერჩევა განხორციელდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:**
  ა) ფასი;
  ბ) გამონაკლისები და სხვა სადაზღვევო პირობები (გადაზღვევის მოცულობა და რეიტინგი);
- თანამშრომელთა დაზღვევა უნდა განხორციელდეს 1 წლის ვადით;
- სხვა პირობები დამკვეთსა და შემსრულებელს შორის გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულებაში.
- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.ge

- ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს პროცედურა, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში (მხოლოდ ერთი განაცხადი და ა.შ.), რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე;

- წინადადების მოქმედების ვადა: 30 კალ. დღე

II. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- მოქმედი ლიცენზია სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზღვევაში;
- მინიმუმ 1 კორპორატიული კლიენტი, რომელთანაც უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში პრეტენდენტს აკავშირებს თანამშრომლობა ნაღდი ფულის ან ფასეულობის ინკასატორის უბედური შემთხვევის დაზღვევის მომსახურების კუთხით;

III. მნიშვნელოვანი ინფორმაცია

დაზღვეულ პირთა ამჟამინდელი რაოდენობა: 98

ინკასატორი - 86
მშენებლობის კურატორი თანამშრომლები - 12

დაზღვეულთა რაოდენობა ცვალებადია (უმეტესად მზარდია), ანგარიშსწორება იწარმოებს ყოველთვიურად. შემოთავაზებაში წარმოდგენილი უნდა იქნას 1 წლის ღირებულება.

<u>სადაზღვევო ლიმიტები :</u>

ვერსია A
აგრეგირებული ლიმიტი: 300,000 აშშ დოლარი
ლიმიტი ერთ დაზღვეულზე: 55,000 აშშ დოლარი

ვერსია B
აგრეგირებული ლიმიტი: 500,000 აშშ დოლარი
ლიმიტი ერთ დაზღვეულზე: 60,000 აშშ დოლარი

IV. სადაზღვევო პირობები

ვერსია A

<u>1.დაზღვევის საგანი</u>

დაზღვევა ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას მოსარგებლეზე, თუ დაზღვეული პირის მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დადგა უბედური შემთხვევა, რომელმაც გამოიწვია:

- დაზღვეული პირის გარდაცვალება;
- სრული მუდმივი ქმედუუნაროობა;
- ნაწილობრივი მუდმივი ქმედუუნაროობა;

<u>2.ვინ არის დაზღვეული:</u>

დამზღვევის საქმიანობის ფარგლებში ხორციელდება ნაღდი ფულადი სახსრების ინკასაცია სხვადასხვა ობიექტებიდან, მათ შორის ბანკომატებიდან, CMD აპარატებიდან, ფილიალებიდან, კლიენტების ობიექტებიდან და სხვა ობიექტებიდან. ასევე, დაზღვევის ფარგლებში განიხილებიან საწყობში დასაქმებული თანამშრომლები და სათაო ოფისის მშენებლობის პროექტის მართვასა და ზედამხედველობაში ჩართული თანამშრომლები.

დაზღვეული არიან „თიბისი ბანკის“ მიერ დაქირავებული თანამშრომლები, რომელთა მიმართაც დაზღვევის მოქმედება ვრცელდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დამდგარ უბედურ შემთხვევებზე.

დაზღვეულ პირთა სია შესაძლებელია შეიცვალოს დაზღვევის მოქმედების პერიოდში, დამზღვევის მიერ თანამშრომლების სამსახურში მიღების, გათავისუფლების ან სხვა შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში. თანამშრომელთა დამატება ან ამოღება განხორციელდება დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე.

3. დაფარული რისკები:

წინამდებარე დაზღვევით დამზღვევი აზღვევს დაზღვეულს შემდეგ რისკებზე:

- დაზღვეული პირის გარდაცვალება, გამოწვეული უბედური შემთხვევით;
- დაზღვეული პირის სრული მუდმივი ქმედუუნარობის დადგომა, გამოწვეული უბედური შემთხვევით;
- დაზღვეული პირის ნაწილობრივი მუდმივი ქმედუუნარობის დადგომა, გამოწვეული უბედური შემთხვევით.

პირობებით იფარება დაზღვეულის გარდაცვალება, რომელიც დადგება უბედური შემთხვევის დღიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში და გამოწვეული იქნება უშუალოდ ამ უბედური შემთხვევით.

4. გამონაკლისები

წინამდებარე პირობების თანახმად, დაზღვეულის გარდაცვალების ან სრული მუდმივი ანნაწილობრივი მუდმივი ქმედუუნარობის რისკის დადგომის შემთხვევაში დამდგარი ზარალი მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდება თუ ის პირდაპირ, ან არაპირდაპირ გამოწვეულია შემდეგი მოვლენებისგან:

- ომს, დაპყრობას, ნებისმიერი სახეობის საომარ/სამხრეთ მოქმედებებს, სამოქალაქო ომს, აჯანყებას, რევოლუციას, გაფიცვას, ნებისმიერი პირსის მოქმედებებს, რომელი მოქმედებს რამე ორგანიზაციის დავალებით ან დამოუკიდებლად და მიზნად ისახავს დე იურე ან დე ფაქტო ხელისუფლებების დამყოლობას ან მასზე ზეგავლენას ტერორისტული ან ძალისმიერი მეთოდებით;
- მაიონიზებელ გამოსვლას, გარეთ რადიაქტიურ დაბინძურებას, ბირთვული საწვავის აალებას;
- დაზღვეულის მიერ სამუშაო სივრცეში დაწესებული უსაფრთხოების ნორმების/წესების დაღვევას
- დაზღვეულის ალკოჰოლური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა; ან თუ დაზღვეული შემთხვევის დროს ყოფნა ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა;
- დაზღვეულის მიერ ჩადენილ თვითმკვლელობას ან თვითმკვლელობის მცდელობას, განზრახ თვითდაზიანებას;
- თუ გარდაცვალება შედეგია დაზღვეულის მკვლელობისა, რომლის პირდაპირ ან არაპირდაპირ, უშუალო ან არაუშუალო მონაწილედ გვევლინება მოსარგებლე ან ნებისმიერი პირი, რომელი დაინტერესებულია გარდაცვალების გამო ანაზღაურების. მიღებით;
- თუ გარდაცვალება შედეგია დაზღვეულის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კანონის წინაშენააღმდეგო ქმედებების ჩადენის ან ამგვარ მცდელობისა;
- თუ გარდაცვალება შედეგია დაზღვეულის ფიზიკური ავადმყოფობის ან გონების დაბინდვის;
- დაზღვეულის მიერ ჩადენილ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებით მოქმედებას;
- დაზღვეულის მიერ საკუტარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი ასეტი მოქმედება მიმართულია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად.
- დაზღვეულის საკვებისმიერ ინტოქსიკაციას;

ვერსია B

1.დაზღვევის საგანი

დაზღვევა ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას მოსარგებლეზე, თუ დაზღვეული პირის მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დადგა უბედური შემთხვევა, რომელმაც გამოიწვია:

- დაზღვეული პირის გარდაცვალება;
- სრული მუდმივი ქმედუუნარობა;
- ნაწილობრივი მუდმივი ქმედუუნარობა;
- დროებითი შრომისუუნარობა;
- უბედური შემთხვევით გამოწვეული სამედიცინო ხარჯების გაწევა, წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციითა და სადაზღვევო პოლისის პირობებით განსაზღვრული ლიმიტებისა და პირობების ფარგლებში.

2.ვინ არის დაზღვეული:

დამზღვევის საქმიანობის ფარგლებში ხორციელდება ნაღდი ფულადი სახსრების ინკასაცია სხვადასხვა ობიექტებიდან, მათ შორის ბანკომატებიდან, CMD აპარატებიდან, ფილიალებიდან, კლიენტების ობიექტებიდან და სხვა ობიექტებიდან. ასევე, დაზღვევის ფარგლებში განიხილებიან საწყობში დასაქმებული თანამშრომლები და სათაო ოფისის მშენებლობის პროექტის მართვასა და ზედამხედველობაში ჩართული თანამშრომლები.

დაზღვეული არიან „თიბისი ბანკის“ მიერ დაქირავებული თანამშრომლები, რომელთა მიმართაც დაზღვევის მოქმედება ვრცელდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დამდგარ უბედურ შემთხვევებზე.

დაზღვეულ პირთა სია შესაძლებელია შეიცვალოს დაზღვევის მოქმედების პერიოდში, დამზღვევის მიერ თანამშრომლების სამსახურში მიღების, გათავისუფლების ან სხვა შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში. თანამშრომელთა დამატება ან ამოღება განხორციელდება დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე.

3. დაფარული რისკები:

წინამდებარე დაზღვევით დამზღვევი აზღვევს დაზღვეულს შემდეგ რისკებზე:

- დაზღვეული პირის გარდაცვალება, გამოწვეული უბედური შემთხვევით;
- დაზღვეული პირის სრული მუდმივი ქმედუუნარობის დადგომა, გამოწვეული უბედური შემთხვევით;
- დაზღვეული პირის ნაწილობრივი მუდმივი ქმედუუნარობის დადგომა, გამოწვეული უბედური შემთხვევით.
- დაზღვეული პირის დროებითი შრომისუუნარობის დადგომა, გამოწვეული უბედური შემთხვევით.
- სამედიცინო ხარჯების ანაზღაურება უბედური შემთხვევის შედეგად.

პირობებით იფარება დაზღვეულის გარდაცვალება, რომელიც დადგება უბედური შემთხვევის დღიდან 12 კალენდარული თვის განმავლობაში და გამოწვეული იქნება უშუალოდ ამ უბედური შემთხვევით.

4. გამონაკლისები

წინამდებარე პირობების თანახმად, დაზღვეულის გარდაცვალების ან სრული მუდმივი ანნაწილობრივი მუდმივი ქმედუუნარობის რისკის დადგომის შემთხვევაში დამდგარი ზარალი მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდება თუ ის პირდაპირ, ან არაპირდაპირ გამოწვეულია შემდეგი მოვლენებისგან:

- ომს, დაპყრობას, ნებისმიერი სახეობის საომარ/სამხრეთ მოქმედებებს, სამოქალაქო ომს, აჯანყებას, რევოლუციას, გაფიცვას, ნებისმიერი პირსის მოქმედებებს, რომელი მოქმედებს რამე ორგანიზაციის დავალებით ან დამოუკიდებლად და მიზნად ისახავს დე იურე ან დე ფაქტო ხელისუფლებების დამყოლობას ან მასზე ზეგავლენას ტერორისტული ან ძალისმიერი მეთოდებით;
- მაიონიზებელ გამოსვლას, გარეთ რადიაქტიურ დაბინძურებას, ბირთვული საწვავის აალებას;
- დაზღვეულის ალკოჰოლური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა; ან თუ დაზღვეული შემთხვევის დროს ყოფნა ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა;
- დაზღვეულის მიერ ჩადენილ თვითმკვლელობას ან თვითმკვლელობის მცდელობას, განზრახ თვითდაზიანებას;
- თუ გარდაცვალება შედეგია დაზღვეულის მკვლელობისა, რომლის პირდაპირ ან არაპირდაპირ, უშუალო ან არაუშუალო მონაწილედ გვევლინება მოსარგებლე ან ნებისმიერი პირი, რომელი დაინტერესებულია გარდაცვალების გამო ანაზღაურების. მიღებით;
- თუ გარდაცვალება შედეგია დაზღვეულის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კანონის წინაშენააღმდეგო ქმედებების ჩადენის ან ამგვარ მცდელობისა;
- თუ გარდაცვალება შედეგია დაზღვეულის ფიზიკური ავადმყოფობის ან გონების დაბინდვის;
- დაზღვეულის საკვებისმიერ ინტოქსიკაციას;

V. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- 1 წლის მომსახურების ჯამური ღირებულება A და B ვერსიების მიხედვით (დანართი N1)
- A და B ვერსიის სადაზღვევო პირობები დეტალურად (Word);
- სადაზღვევო ხელშეკრულების პროექტი (Word);
- ინფორმაცია გადამზღვევი კომპანიის რეიტინგის და გადაზღვევის მოცულობის შესახებ;
- უბედური შემთხვევის დაზღვევის მიმართულებით მსხვილი კორპორატიული კლიენტების ჩამონათვალი და სარეკომენდაციო წერილები მიმიდინარე თარიღით ან გაცემული 2026 წლის განმავლობაში;
- სრულად შევსებული და ხელმოწერილი KYP ფაილი;
- ხელმოწერილი და დასკანერებული აფიდავიტის ფორმა;